მედიასაშუალებათა ზოგადი პრინციპების სამართლებრივი ასპექტები

გურამ გიკაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: g-gikashvili@gmail.com

რეზიუმე

საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული ნორმები ისეთი ძირითადი პრინციპების რეგულირებასთან დაკავშირებით, როგორებიცაა სიტყვის, ბეჭდვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე , გამოკითხვაზე, გაწერილია ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებში და კანონმდებლობაში მასმედიის საშუალებების შესახებ - კანონებში „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ", „მედიასამსახურის შესახებ", „აუდიოვიზუალური პროგრამების შესახებ", „მაუწყებლობის შესახებ", „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ", „პრესის შესახებ", „პრესისა და ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებების შესახებ", „მედიასაკუთრების შესახებ", „ტელევიზიის სტანდარტების შესახებ". საინფორმაიცო საშუალებების ეთიკის საკითხებს არეგულირებს კანონები „საზოგადოებრივი მორალის დაცვის შესახებ", „ცილისწამების და პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ", „აუდიოვიზუალური მედიასამსახურების შესახებ", აგრეთვე, პრესის ეთიკური სტანდარტების კოდექსი, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები.

საკვანძო სიტყვები: კანონმდებლობა, პრესა, ინფორმაცია, სასამართლო, მედიასაშუალება.

შესავალი

კანონმდებლობა, ერთის მხრივ, ანიჭებს დამოუკიდებლობას მასმედიის საშუალებებს, მეორეს მხრივ, კი აღიარებს ადამიანის ზემოთ აღნიშნულ უფლებებს, მასმედიის საშუალებების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მასმედიის კონტროლს საზოგადოების მხრიდან. **უფლება ინფორმაციაზე,** რომელიც განზაზღვრავს მასმედიის საშუალებების განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ითვლება, რომ ყველაზე მეტად არის დაცული გერმანიის შესაბამის კანონმდებლობაში. აზრის გამოხატვის თავისუფლება გამაგრებულია ავსტრიის, გერმანიის, ნორვეგიის, საფრანგეთის, აშშ-ს კონსტიტუციებით და გარანტირებულია ამ ქვეყნების სასამართლოების მიერ. გერმანიაში, პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები იმართება ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უფლებამოსილებების დაყოფის შედეგად წამოჭრილი სირთულეები. აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით შეიქმნა პრესის თავისუფლების დაცვის გარანტია. შესწორება კონგრესს უკრძალავს სიტყვის თავისუფლების შემზღუდველი კანონების მიღებას. დებულებები სიტყვის თავისუფლების შესახებ გაწერილია როგორც ესტონეთის კონსტიტუციის შესაბამის თავებში, ასევე, კანონში „მედიასამსახურის შესახებ". აღნიშნული პრინციპი მოიცავს აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციის მიღების და გავრცელების თავისუფლებას წერილობითი და ზეპირი გზებით, აგრეთვე, გამოსახულებებში და სხვა ფორმებით. ინფორმაციის მიღების, შენახვის და გავრცელების უფლება.

ძირითადი ნაწილი

აშშ-ში ინფორმაცაზე უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მედიასაშუალებების თავისუფალი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ინფორმაციაზე. ეს უფლება ჩაწერილია ფედერალურ კანონში „ინფორმაციის თავისუ-

ფლების შესახებ" და თითქმის ყველა შტატის ანალოგიურ სტატუტებში. აღნიშნული კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ხელისუფლება ვალდებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოთხოვნით გასცეს მათ ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია. თუმცა, იგივე კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობას სრული უფლება აქვს ქვეყნის კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე უარი თქვას ისეთი სახის ინფორმაციის გაცემაზე, როგორიცაა:

- ინფორმაცია ეროვნული უშიშროების შესახებ;
- კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია;
- მთავრობის შიდა ოფიციალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია, რომლის გასაჯაროება დაარღვევდა სასამართლო გამოძიების მსვლელობას და ბრალის წაყენების პროცესს;
- ინფორმაცია ფინანსური დაწესებულებების მდგომარეობის შესახებ;
- გეოლოგიური და გეოფიზიკური სახის ინფორმაცია.

გერმანია

პრესის შესახებ კანონმდებლობის სტრუქტურა. გერმანიაში მედიასაშუალებათა ზოგადი პრინციპების **(სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე)** ძირითადი საკანონმდებლო გარანტია კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომელიც ადგენს ყოველი ადამიანის უფლებას გამოხატოს და გაავრცელოს საკუთარი აზრი, დაუბრკოლებლად მიიღოს ინფორმაცია ყველა ხელმისაწვდომი წყაროდან; უზრუნველყოფს ბეჭდვის, რადიო და ტელეშეტყობინებების თავისუფლებას; არ აღიარებს ცენზურას; უზრუნველყოფს პიროვნების, ღირსების, წარმოების და სახელმწიფოს დაცვას.

გერმანიაში არ არსებობს ფედერალური კანონი პრესის შესახებ. ქვეყნის ძირითადი კანონის გარდა, პრესის საკითხებს არეგულირებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, ფედერალური მიწების კონსტიტუციები, კანონი „მოქალაქეთა პირადი ღირსების დაცვის შესახებ", კანონი „კარტელების შესახებ", კანონი „საბანკო მონაცემების დაცვის შესახებ" და სხვ. **ინფორმაციაზე უფლების რეგულირება ფედერალურ დონეზე.** სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, პირებს, რომლებიც თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე დაკავებულნი არიან პერიოდული ბეჭდური გამოცემების ან ტელერადიოპროგრამების მომზადებით, პუბლიკაციით და გავრცელებით, უფლება აქვთ უარი თქვან მოწმის ჩვენების მიცემაზე ინფორმატორის, შეტყობინებების ან დოკუმენტების ავტორის ან გამომგზავნის პირადი მონაცემების შესახებ, თუკი ეს შეტყობინებები ან დოკუმენტები განკუთვნილია რედაქციისთვის.

ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია ფულადი სასხრების მოძრაობით, ინვესტირებით ან დაკრედიტებით, ფინანსურ ინსტრუმენტებთნ მუშაობით ან ფინანსური მომსახურების გაწევით.

ინფორმაციაზე უფლების რეგულირება მიწების დონეზე. მიწის კანონმდებლობები არეგულირებს ჟურნალისტური საქმიანობის სამართლებრივ ასპექტებს შემდეგ სფეროებში: სიტყვის და პრესის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე, გამოკითხვის უფლება, გამოცემის შესახებ მონაცემების პუბლიკაციის უფლება და ა.შ. „სიტყვის თავისუფლების შესახებ" ბავარიის კონსტიტუციის მიხედვით, აკრძალულია:

- სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა;
- პრესის მუშაკთა პროფესიულ კავშირებში იძულებითი გაწევრიანება;
- პრესის საქმეში სახელმწიფო სექტორის ჩარევა.

უფლება გამოკითხვაზე. სწორედ მიწის კანონები უზრუნველყოფენ ჟურნალისტების მნიშვნელოვან უფლებას გამოკითხვაზე. „პრესის შესახებ" ბავარიის კანონის თანახმად, საჯარო მოხელეს არა აქვს უფლება გასცეს ინფორმაცია არჩევითად ერთ ან მეორე გამომცემლობას „მედიასაშუალების პროფესიონალიზმის, ლოიალობის ან ოპოზიციონერობის" მიხედვით. ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-3 მუხლს ყველა მოქალაქის თანასწორობის შესახებ. კანონის თანახმად, „უკმაყოფილო" მედიასაშუალებას შეუძლია სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე შეიტანოს ოფიციალური საჩივარი, რომელიც შემდეგ შეიძლება გადაეცეს ადმინისტაციულ სასამართლოს. მხარეებისთვის არადამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ადმნისტრაციული სასამართლოდან საქმე შეილება გადაგზავნოს ფედერალური მიწის საკონსტიტუციო სასამართლოს. უმაღლესი ინსტანციაა - ფედერალური საკონსტიტუციო სასამრთლო. აღსანიშნავია, რომ დებულება სახელმწიფო მოხელის მხრიდან ჟურნალისტების საჯაროდ უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციით, არ ვრცელდება ჟურნალისტურ გამოძიებაზე, რომლის დროსაც, ჟურნალისტს ან რედაქტორს შეუძლია ინტერვიუ აიღოს სახელმწიფო თანამდებობის პირისგან სხვა დაინტერესებუ-

ლი მედიასაშუალებების ინფორმირების გარეშე.

შეზღუდვები გამოკითხვის უფლებაზე. „პრესის შესახებ" ბერლინის კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, ინფორმაციის გაცემაზე შესაძლეებლია უარის თქმა

- თუ უწყებას მიღებული აქვს მითითებები ინფორმაციის გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით;

- თუ გარკვეული ღონისძიებები განსაზღვრული დროის განმავლობაში უნდა დარჩეს საიდუმლოდ, რამდენადაც მათმა ნაადრევმა გასაჯაროებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ ინტერესებს ან წარმოადგენდეს მათთვის საშიშროებას;

- თუ ეს ჩაშლის, გაართულებს ან ზიანს მიაყენებს მიმდინარე სასამართლო პროცესის ჯეროვნად წარმართვას;

- თუ ეს ზიანს მიაყენებს კერძო ინტერესებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს.

გერმანიის მთელ ტერიტორიაზე პოლიციას და პროკურატურას უფლება აქვთ არ გასცენ ინფორმაცია და კომენტარები მედიასაშუალებებს. 1953 წელს მიღებულ იქნა „სპეციალური კანონები კრიმინალური პოლიციის და პრესის ურთიერთობის შესახებ", რომლებიც ითვალისწინებენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან უარის თქმას გამოკითხვაზე და რომლებსაც დღემდე აქვთ იურიდიული ძალა.

მიწის კანონები ასევე კრძალავენ ინფორმაციის გამოკითხვას გადასახადების შესახებ. აკრძალულია საგადასახადო დეკლარაციების პუბლიკაცია. ფინანსთა სამინისტროში ინფორმაციის გამოკითხვა და გამოყენება პრესისთვის შესაძლებელია მხოლოდ სასამრთლო განხილვის შემთხვევაში (როგორც მიწების, ასევე ფედერალურ დონეზე).

საჯარო მოხელე მოვალეა მიიღოს გადაწყვეტილება ჟურნალისტისთვის ინფორმაციის მიცემის ან არმიცემის შესახებ. სადაო შემთხვევაში, მასმედიას უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი ადმინისტრაციულ სასამართლოში ან გაუგზავნოს შეკითხვა იმ სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელშიც მუშაობს საჯარო მოხელე.

ინფორმაციაზე უფლების შეზღუდვა მოქალაქეთა პირადი ღირსების დაცვის მიზნით. კონსტიტუციის მე-5(2) მუხლის მიხედვით, ინფორმაციის უფლების შეზღუდვა პრივატულ საკითხებთან დაკავშირებით, რეგულირდება „დებულებებით ახალგაზრდობის და მოქალაქეთა პირადი ღირსების დაცვის შესახებ". აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა კრძალვს დისკრიმინაციას ეროვნული, რელიგიური, ეთნიკური და სხვა ნიშნით. ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის, ჟურნალისტი, რომელიც ავრცელებს აზრს, რომელმაც შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს სხვა პირს, დადანაშაულდება ცილისწამებაში, თუ ვერ დაამტკიცებს არსებული აზრის სისწორეს.

გარდა ამისა, კონსტიტუცია ავლებს ზღვარს დასამტკიცებელ ფაქტებსა და საკუთარი აზრის გამოხატვას შორის, რომლის თავისუფლებაც დაცულია კანონით. პირადი ცხოვრების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება საუბარი, თუ ის საზოგადოებისთვის სერიოზულ ინტერესს წარმოადგენს. დაუშვებელია დახურულ კარს მიღმა ხმოვანი ჩანაწერის გაკეთება, პირადი დღიურების პუბლიკაცია მფლობელის თანხმობის გარეშე.

ჟურნალისტის უფლებას ინფორმაციაზე ზღუდავს, აგრეთვე, სახელმწიფო ინერესების დაცვა, „სახელმწიფო საიდუმლოების" პრინციპი, რომელიც წარმოადგენილია როგორც ქვეყნის ძირითად კანონში, ასევე მიწების კონსტიტუციებში (მაგალითად, დებულება „საიდუმლო უწყებების შესახებ", რომლებსაც შეუძლიათ არ მოახდინონ რეაგირება ჟურნალისტების შეკითხვებზე).

ავსტრიის კანონი „პრესისა და ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებების შესახებ" (Act on the Press and other Publication Media) აზრის გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების დაცვის მიზნით უზრუნველყოფს მედიის სრულ თავისუფლებას.

პირადი მონაცემების გამოქვეყნება. თუ პრესა გამოქვეყნებს იმ პირის პირად მონაცემებს ან სურათს, რომელიც გახდა კრიმინალური დანაშაულის მსხვერპლი ან ეჭვმიტანილია კრიმინალურ დანაშაულში ან სასამართლომ სცნო დამნაშავედ ან დაკითხულ იქნა მოწმის რანგში ეროვნული კომიტეტის საგამოძიებო კომისიის მიერ და თუ ამის გამო დაირღვა პირის თავმდებში დაცვის უფლება, აღნიშნულ პირს შეუძლია პრეტენზია განუცხადოს მედია მფლობელს და მოითხოვოს მისგან ანაზღურება მიყენებული მორალური ზარალის კომპენსაციის მიზნით.

კანონი ითვალისწინებს **უდანაშაულობის პრეზუმპციის დაცვას.** თუ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, რომელიც საბოლოოდ არ არის გასამართლებული სასამართლოს მიერ, პრესაში ან ბეჭდვითი მედიის სხვა საშუალებაში წარმოდგენილი იქნება როგორც უკვე დამნაშავე ან დანაშაულის გამომწვევი (და არა მხოლოდ ეჭვმიტანილი), მაშინ ასეთი პირი უფლებამოსილია მოითხოვოს კომპენსაცია მედიამფლობელისგან მისთვის მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად (პარ. 7ბ-1).

სარედაქციო კონფიდენციალობის დაცვა. მედია მფლობელებს, რედაქტორებს, ლიტერატურულ რედაქტორებს ან მედიასამსახურის თანამშრომლებს სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე კრიმინალური და სხვა დანაშაულებრივი საქმეების განხილვისას მოწმის სახით წარდგომის დროს უფლება აქვთ არ უპასუხონ შეკითხვებს მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიმწოდებლის შესახებ.

პირს, რომელიც მოიპოვებს ინფორმაციას ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე, საინფორმაციო წყაროს შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების უფლება არა აქვს წყაროს თანხმობის გარეშე, აგრეთვე, **ესტონეთის** „ეროვნული მაუწყებლობის შესახებ კანონის" მიხედვით.

ნორვეგიაში მასმედიის საკითხები რეგულირდება შემდეგი სამი კანონით: „მაუწყებლობის შესახებ" (Broadcasting Act), „მედიასაკუთრების შესახებ" (Media Ownership Act) და „ტელევიზიის სტანდარტების შესახებ" (Television Standards Act). პრესის შესახებ ცალკე კანონი არ არსებობს და ამდენად, პრესის საკითხებს არეგულირებს სამოქალაქო სისხლის სამართლის კოდექსი და კონსტიტუციის მე-100 მუხლი, რომლის მიხედვითაც, პრესა თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია, არავინ შეიძლება დაისაჯოს პუბლიკაციის გამო რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირი შეგნებულად და აშკარად არ ემორჩილება კანონს, რელიგიურ ნორმებს, მორალს, კანონიერ ხელისუფლებას, უარს ამბობს ბრძანებების შესრულებაზე ან უკანონოდ ადანაშაულებს სხვა პირს ან აქეზებს ამისკენ სხვებს. ყველას აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშრებით და ნებისმიერ სხვა საკითხებზე.

1992 წელს **პოლონეთში** შეიქმნა ახალი საკონსტიტუციო ორგანო - რადიო და ტელემაუწყებლობის ეროვნული საბჭო. საბჭოს ამოცანაა სიტყვის და აზრის გამოთქმის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა, მედიასამსახურების პროვაიდერების დამოუკიდებლობის დაცვა, ინფორმაციის მოპოვების და გავრცელების უფლების, აგრეთვე, საზოგადოებრივი ინტერესის რეალიზება რადიო და ტელემაუწყებლობებში, მაუწყებლობის ღია და პლურალისტული ბუნების უზრუნველყოფა.

პოლონეთის კონსტიტუციის 54-ე მუხლის მიხედვით აკრძალულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცენზურა,აგრეთვე, ლიცენზიების გაცემა პრესის გამოშვებაზე.

იტალიის კონსტიტუციის 21-ე მუხლი უზრუნველყოფს გამოხატვის და პრესის თავისუფლებას შემდეგ დებულებებში:

- ყველას აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრები ზეპირად, წერილობით და აზრის გავრცელების ნებისმიერი სხვა საშუალებით.
- პრესა არ ექვემდებარება ცენზურას;
- აკრძალულია ბეჭდვითი ნაწარმოებები, სანახაობები და ყოველგვარი მანიფესტაციები, რომლებიც ეწინააღმდეგება მორალს.

ბევრ ქვეყანაში და მათ შორის **საფრანგეთში**, მასმედიისთვის დაწესებულია შეზღუდვები სახელმწიფო სასამართლო ორგანოების მოღვაწეობის გაშუქებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აკრძალულია სისხლის სამართალის საბრალდებო დასკვნების და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნება მანამ, სანამ მათ არ გაეცნობა სასამართლოს ღია სხდომა; პარლამენტის საგამოძიებო კომისიების, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ან სხდომების ანგარიშების გამოქვეყნება (გარდა საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის შეტყობინებებისა), სასამართლოს სხდომათა დარბაზებში საქმის განხილვის დროს ხმის ჩამწერი აპარატურის, ტელე- და კინოკამერების გამოყენება. ფოტოგრაფირება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იუსტიციის მინისტრის ნებართვის საფუძველზე. მოსამართლეებს და სასამართლოებს (ტრიბუნალებს) შეუძლიათ აკრძალონ ნებისმიერი სამოქალაქო საქმის სასამართლო განხილვის ანგარიშების გამოქვეყნება. აშშ-ში სასამართლოს ღირსების შელახვად ითვლება პუბლიკაცია, რომელსაც შეუძლია გაართულოს სასამართლოში საქმის განხილვა და გამოიწვიოს მოსამართლეთა არაობიექტურობის პროვოცირება.

დასკვნა

მედიასაშუალებათა შესახებ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული ნორმები არეგულირებს ისეთ ძირითად პრინციპებს როგორიცაა: სიტყვის, ბეჭდვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე, გამოკითხვაზე.

კანონმდებლობა, ერთის მხრივ, ანიჭებს დამოუკიდებლობას მასმედიის საშუალებებს, მეორეს მხრივ, კი აღიარებს ადამიანის ზემოთ აღნიშნულ უფლებებს, მასმედიის საშუალებების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მასმედიის კონტროლს საზოგადოების მხრიდან.

გამოყენებული წყაროები:

აშშ

http://lawtoday.ru/razdel/biblo/info-prav/096.php Права и обязанности средств массовой информации с позиций государственной (национальной) безопасности http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/FIELD/Moscow/pdf/MP5-CI/International%20Standards%20and%20Foreign%20Practices%20on%20Media%20Regulation.pdf Международные стандарты и зарубежная практика регули- рования журналистики. ЮНЕСКО – 2011.

გერმანია

http://works.tarefer.ru/26/100038/index.html Право на информацию для журналистов в Германии http://www.iuscomp.org/gla/statutes/RuStaV.htm Interstate Broadcasting Agreement http://www.iuscomp.org/gla/statutes/LMIguidelines.htm Guidelines issued by the Land Media Institutes on ensuring protection for young persons (youth guidelines)

ავსტრია

http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Erv/ERV_1981_314/ERV_1981_314.html Act on the Press and othe Publication Media http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Erv/ERV_2001_1_84/ERV_2001_1_84.html Federal Act on Audio-visual Media Services http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Erv/ERV_2003_1_70/ERV_2003_1_70.html Federal Act Enacting a Telecommunications Act

ნორვეგია

http://www.norge.ru/constitusia/ Конституция Норвегии http://www.kursach.com/biblio/0005001/0700.htm#_ftnref2 Законодательное регулирование права на информацию, отношений власти и СМИ https://www.regjeringen.no/nb/dokumenter/broadcasting-act-/id420612/ Broadcasting Act of Norway

პოლონეთი

12 კვლევითი დეპარტამენტი. კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება http://www.pravo.vuzlib.su/book_z1519_page_32.html Средства массовой информации http://www.krrit.gov.pl/Data/Files/_public/pliki/office/broadcasting-act_10-08-2011.pdf broadcasting act http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/rosyjski/kon1.htm Конституция Республики Польша

იტალია

http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/FIELD/Moscow/pdf/MP5- CI/International%20Standards%20and%20Foreign%20Practices%20on%20Media%20Regulation.pdf http://www.krugosvet.ru/enc/gosudarstvo-i-politika/italiya-konstitutsiya?page=0,1 ИТАЛИЯ. КОНСТИТУЦИЯ http://www.pravo.vuzlib.su/book_z1519_page_32.html Средства массовой информации

საფრანგეთი

http://www.khimki-news-lolo107.narod.ru/business3.html Французский закон о свободе печати

LEGAL ASPECTS OF SOME PRINCIPLES OF MASS MEDIA

GURAM GIKASVILI
PhD of GTU
E-mail: g-gikashvili@gmail.com

Summary

The norms existing in the international legislation concerning the regulation of such basic principles as freedom of speech, press and expression, right to information and questioning are given in the constitutions of the European countries and the Law on Mass Media – in the laws on: “Freedom of Information”, “Media Service” , “Audio-visual Programs”, “Broadcasting”, “Freedom of Printed Word”, “Press”, “Press and other Press Media Outlets”, “Media Possession”, “Television Standards”. Issues of ethics mass media are regulated by the laws on: “Protection of Public Moral”, “Slander and Interference in Private Life”, “Audiovisual Media Services”; they are also controlled by the Code of the Ethical Standards of the Press, Civil and Criminal Codes.